

საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45



GEORGIA

SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY  
№45 Zv. Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ. ზუგდიდი

23.01.2018 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №5

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისათვის საქართველოს მუნიციპალური  
განვითარების ფონდისაგან სესხის აღებასა და საინვესტიციო დაფინანსების  
ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, მე-100 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 22 იანვრის №02/669 მომართვის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციის ქვეპროექტის განხორციელების მიზნით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისაგან სესხის აღებასა და თვითმმართველი ერთეულის სახელით საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების დადების თაობაზე.
2. ეთხოვოს ნებართვა საქართველოს მთავრობას მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთობლივი პროექტის განსახორციელებლად 10 წლის ვადით 5 987 218. 36 ლარის (ხუთი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაშვიდი ათას ორას თვრამეტი ლარი და 36 თეთრი) ოდენობით სესხის აღებასთან დაკავშირებით.
3. განკარგულების ასლი გადაეგზავნოს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. №12).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია